ბრძანება:**№14. 142600915**

თარიღი:**09/01/2026**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის განვითარების, მოქალაქეზე და მის საჭიროებებზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისათვის აუცილებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურებში ინსტიტუციური ცვლილებების განხორციელება, შესაბამისი სამსახურების მიზნებისა და ფუნქციების, საჯარო მოსამსახურეთა უფლება-მოვალეობების ახლებური განსაზღვრა და ჩამოყალიბება, ასევე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მთლიანად ან/და ნაწილობრივ ახალი სტრუქტურის ჩამოყალიბება, შტატების გადაადგილება ან/და შემცირება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-104-ე მუხლების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დაწყებულ იქნეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი.

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდეს:

ა) პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა;

ბ) მეორე ეტაპი - რეორგანიზაციისათვის აუცილებელი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ორგანიზაციული სტრუქტურის პროექტის შემუშავება.

გ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაცია დასრულდეს მერიის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტში ან/და საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილებების კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლით.

3. შეიქმნას რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი - გიორგი ცინცაძე;

ბ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნუკრი დეკანაძე;

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - სოფიკო ხალვაში;

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - მარიამ ხაზარაძე;

ე) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - კახა დიასამიძე;

ვ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - მუხრან ჯორბენაძე.

4. დაიწყოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის პირველი ეტაპი - რეორგანიზაციის დაგეგმვა და განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი.

5. დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსს უზრუნველყოს რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ბრძანების ყველა საჯარო მოსამსახურისათვის გაცნობა (გაცნობის ხელმოწერით დადასტურება) და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის მიწოდება.

6. რეორგანიზაციის განხორციელებაზე პასუხისმგებელმა პირმა წინამდებარე ბრძანების ხელმოწერიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს:

ა) რეორგანიზაციისათვის განსახორციელებელი გეგმის შემუშავება და წარმოდგენა;

ბ) რეორგანიზაციის მეორე ეტაპის დაწყებისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება რეორგანიზაციის შემდგომი ეტაპების განხორციელებასთან დაკავშირებული გასატარებელი ღონისძიებები.

7. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე (www.batumi.ge).

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ცინცაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი